


საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მტრედისნაირნი



მტრედისნაირნი.
მტრედისნაირნი გვრიტი
საყელიანი გვრიტი.
გვრიტი.

მტრედისნაირნი

(Columbiformes), ფრინველთა რიგი. უმეტესად საშუალო და დიდი (გვირგვინოსანი მტრედი, მასა – 3 კგ, სხეულის სიგრძე – 80 სმ-მდე), იშვიათად პატარა ტანის (გვრიტი, მასა – 30 გ) ფრინველებია. გადაშენებული არამფრენი მტრედების – მავრიკიული (*Raphus cucullatus*) და როდრეიგესული (*Pezophaps solitaria*) დრონტების (დოდოები) მასა იყო 10–28 კგ. ფართოდ არიან გავრცელებული ზომიერ და ტროპ. სარტყლებში. **ა.** მოიცავს მტრედისებრთა და დრონტისებრთა (ამ უკანასკნელის სტატუსი საკამათოა, უმთავრესად ითვლება ქვეოჯახად) ოჯახებს, აგრეთვე 51 გვარის 360-მდე სახეობას (10 ამომწყდარია). საქართველოში ბინადრობს 6 სახეობა: გარეული მტრედი (*Columba livia*), გვიძინი (*Columba oenas*), ქედანი (*Columba palumbus*), ჩვეულებრივი გვრიტი (*Streptopelia turtur*), საყელიანი გვრიტი (*Streptopelia decaocto*) და მცირე გვრიტი (*Streptopelia senegalensis*).

მ. დღის, უმთავრესად მეხური (იშვიათად ნიადაგური) ფრინველებია. ბინადრობენ ფოთლოვან, უფრო ნაკლებად – წიწვოვან ტყეებში, მთებში, ღია და კულტურულ (ანთროპომორფულ) ლანდშაფტში. მონოგამებია. ახასიათებთ წელიწადში 2 (იშვიათად 4-5) კვერცხდება. დედალი დებს 1-2 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 14-30 დღე. დედალი კვებავს მართვეებს ჩიჩახვის ეპითელიუმის გამონაყოფით, ე. წ. „ჩიტის რძით“. იკვებებიან მცენარეული საკვებით, მოლუსკების ნიჟარებით. მრავალი სახეობა სპორტული ნადირობის ობიექტია.

ა. ბუნნიკაშვილი
